

1. ნიადაგების ეროზიის მინიმიზირება

მოხსენებაში „მსოფლიო ნიადაგური რესურსების მდგომარეობა“ (მ.ნ.რ.მ.) წყლისა და ქარისმიერი ეროზია დასახელებულია ნიადაგების და ეკოსისტემების მომსახურებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ. ნიადაგების ეროზიას მოყვება ორგანული და მინერალური სამარაგო საკვები ნივთიერებების შემცველი ნიადაგის ზედა ფენების დაკარგვა, ნიადაგის ჰორიზონტების ნაწილობრივი ან სრული დაშლა და ნიადაგქვედა ფენების შესაძლო გაშიშვლება, მცენარის ფესვთა სისტემის ზრდის შეზღუდვა, აგრეთვე ეროზიული ნაკვეთების გარეთ ისეთი შედეგების მიღება, როგორცაა კერძო და სახელმწიფო ინფრასტრუქტურების დაზიანება, წყლის ხარისხის დაცემა და წყალსაცავების დალამვა/დაშლამვა. ადამიანთა საქმიანობა აჩქარებს ნიადაგების ეროზიას სხვადასხვა მიზეზებს შორის იმით, რომ ხვნის და სხვა მინდვრული სამუშაოების განხორციელებით მცირდება მცენარეული ან მცენარეთა ნარჩენების საფარი, აგრეთვე ქვეითდება გრუნტის მდგრადობა, რასაც მოყვება მეწყერები და ზვავები.

- მიწათსარგებლობის მახასიათებლებიდან უნდა ავირიდოთ ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა ტყის გაჩეხა, ან სამოვრების არამართებული გადაყვანა სახნავ სავარგულეში, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანოს ზედაპირული საფარის მოცილებასთან და ნიადაგის ნახშირბადის დაკარგვასთან. თუ ამგვარი ცვლილებები გარდუვალია, საჭიროა მათი გულდასმით დაგეგმარება და სათანადო განხორციელება.
- საჭიროა ხელი შეუწყოთ ნიადაგის საფარს მზარდი მცენარეებისაგან, ან ორგანული და არაორგანული წარმოშობის ნარჩენებისაგან, რომლებიც იცავენ ნიადაგის ზედაპირს ეროზიისაგან; ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორცაა მულჩირება, ნიადაგის მინიმალური დამუშავება, ხვნის გარეშე დამუშავება პირდაპირი თესვით და ჰერბიციდების შემცირებული გამოყენებით; ზედაპირის ნარგაობას, აგროეკოლოგიურ მეთოდებს, ტრანსპორტის რეგულირებად მოძრაობას, მუდმივ მცენარეულ საფარს და თესლბრუნვას, ხაზობრივ მიწათმოქმედებას, აგრომეტყვეობას, მინდორსაცავი ზოლების მოწყობას და საქონლის სიმჭიდროვის დონის სათანადოდ უზრუნველყოფას და ძოვების ინტენსივობას.
- წყლისმიერი ეროზია, ქანობიან ან უსწორმასწოროდ დაღარული რელიეფის მქონე მიწის ნაკვეთებზე უნდა მინიმიზირდეს იმ ზომების მიღებით, რომლებიც ამცირებენ ჩამონადენის სიდიდეს და სიჩქარეს., ზოლებრივი მიწათმოქმედება, კონტურული ნარგაობა, თესლბრუნვა, კულტურათა

შეთავსება, აგრომექცევეობა, ქანობზე განივი/გარდღიგარდმო ბარიერები (მაგალითად, ზოლებრივი ბალახოვანი საფარი, ქვების ფენებად ჩალაგება), ტერასების, მცენარეული ბუფერული ზოლების მოწყობა და მათი მომსახურება.

- იქ სადაც მიზანშეწონილია ნიადაგური სისტემებიდან ნიადაგის ნაწილაკების და მათთან დაკავშირებული საკვები ნივთიერებების და დამაბინძურებლების გამოტანის მინიმიზირება და დინების ქვედა ადგილის/მიდამოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან, საჭიროა მოეწყოს სანაპირო/ნაპირსამაგრი ბუფერები, ბუფერული ზოლები., საჭიროა ზედაპირული ჩამონადენის შეკრება და ზედაპირის საფარი კულტურებით დაცვა.
- ქარისმიერი ეროზია, მტვრიანი ქარიშხლის/გრიგალის ჩათვლით საჭიროა მინიმიზირდეს, ხოლო მისი შედეგები შემსუბუქდეს მცენარეული (ხეები და ბუჩქები), ან ხელოვნური (ქვის კედლები) ქარსაცავი ზოლების გამოყენებით ქარის სიჩქარის შესამცირებლად.